


საქართველო
საგარო სამართლის იურიდიული პირი
სასწავლო უნივერსიტეტი
ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია



ვამტკიცებ

ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის
რექტორი  ი. შარაბიძე


12.09.2012



ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის
(ადმინისტრაციული თანამდებობა)
არჩევნების წესი და საარჩევნო პროცედურა.

ND 2-O04-01

შეთანხმებულია

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი  ა. კახიძე

შემუშავებულია:

იურიდიული დეპარტამენტის უფროსი  რ. ყიფიანი

ND 2-O04-01
სტატუსი: მოქმედი
რევიზია № 1
რევიზიის თარიღი 12.0.2012
მოქმედებაშია 01.08.2012



შინაარსი

1	მორმატიული ბაზა	3
2	გამოყენებული ტერმინებისა და შემოკლებების განმარტებები	3
3	მუხლი 1. ზოგადი დებულებები	5
4	მუხლი 2. არჩევნების დანიშვნის წესი	5
5	მუხლი 3. აკადემიის ასარჩევ თანამდებობაზე კანდიდატთა მიერ წარსადგენი დოკუმენტები და საარჩევნო კრიტერიუმები	6
6	მუხლი 4. ასარჩევ კანდიდატთა რეგისტრაცია	6
7	მუხლი 5. არჩევნები	6
8	მუხლი 6. წინასაარჩევნო აგიტაცია და კამპანია	7
9	მუხლი 7. საარჩევნო სიები	7
10	მუხლი 8. საარჩევნო ბიულეტენი	8
11	მუხლი 9. საარჩევნო ყუთი	8
12	მუხლი 10. არჩევნების პროცედურა	8
13	მუხლი 11. არჩევნების შედეგების შეჯამება	9
14	მუხლი 12. დამკვირვებელი	9
15	მუხლი 12. დარღვევის ოქმი	10
16	მუხლი 13. არჩევნების შედეგების გამოცხადება	10
17	მუხლი 14. არჩევნების შედეგების გასაჩივრება	10
18	მუხლი 15. საბოლოო შედეგების გამოქვეყნება	11

ND 2-O04-01

სტატუსი: მოქმედი

რევიზია №1

რევიზიის თარიღი 12.09.2012

მოქმედებაშია 12.09.2012

მოქმედად არ მიათვლება დოკუმენტის არეალი ნაბეჭდი ასლი თუ მას არ აქვს რევიზიის „ღირებულებები“. რევიზიის ასლზე დაატანეს პროცესზე პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით, წინააღმდეგ შემთხვევაში ასლი მიათვლება როგორც „არაკონტროლირებადი“ დოკუმენტი და მასზე ხარისხის საშუალო პასუხისმგებლობას არ იღებს. დოკუმენტის ბოლო და კონტროლირებადი ასლი იხილეთ ვებგვერდზე www.office.bsma.edu.ge



1. საკანონმდებლო ბაზა

2. საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ“ ND 1-01-01;
3. საქართველოს კანონი „პროფესიული განათლების შესახებ“ ND 1-01-02;
4. ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის წესდება ND 2-001;
5. ხარისხის სახელმძღვანელო ND 2-Q03;
6. დოკუმენტაციის მართვის პროცედურა ND 2-Q04-01;
7. ჩანაწერების მართვის პროცედურა ND 2-Q04-02;
8. ტერმინები, განმარტებები და შემოკლებები ND 2-Q05-03;

2. გამოყენებული ტერმინებისა და შემოკლებების განმარტებები

2.1. ტერმინები

1. **ხარისხის უზრუნველყოფა** – შიდა და გარე შეფასების პროცედურები, რომელთა განხორციელება ხელს უწყობს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას.
2. **ხარისხის უზრუნველყოფისა სამსახური** – აკადემიის წესდების შესაბამისად მოქმედი სტრუქტურული ერთეული, რომლის დანიშნულებაცაა სასწავლო და სამეცნიერო მუშაობისა და პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების სისტემატიური შეფასება, აგრეთვე აკადემიის ხარისხის მენეჯმენტის სისტემის სრულყოფა, ხარისხის საერთაშორისო სტანდარტის **ISO 9001:2000** მოთხოვნების შესაბამისად.
3. **სენატი** – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო;
4. **აკადემიური ხარისხი** – ხარისხი, რომელიც მიენიჭება პიროვნებას უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შესაბამისი უმაღლესი განათლების საფეხურის დამთავრებისას;
5. **აკადემიური წოდება** – წოდება (საპატიო დოქტორი, ემერიტუსი), რომელიც კანონმდებლობით დადგენილი წესით ენიჭება უცხო ქვეყნის მეცნიერს ან საზოგადო მოღვაწეს განსაკუთრებული დამსახურებისთვის ან საქართველოს მოქალაქეს აკადემიურ მოღვაწეობაში პროფესიული აღიარებისათვის;

ND 2-004-01

სტატუსი: მოქმედი

რევიზია №1

რევიზიის თარიღი 12.09.2012

მოქმედებაშია 12.09.2012

მოქმედად არ მათვალვება დოკუმენტის აგრეთვე ნაბეჭდი ასლი თუ მას არ აქვს რევიზია „დრეფტული ვერსიის“ რევიზია ასლზე დაატანეს პროცესზე პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით. წინააღმდეგ შემთხვევაში ასლი მათვალვება როგორც „არაკონტროლირებადი“ დოკუმენტი და მასზე ხარისხის სასწავლო პასუხისმგებლობას არ იღებს. დოკუმენტის ბოლო და კონტროლირებადი ასლი იხილოთ ვებგვერდზე www.office.bsma.edu.ge



6. **პროფესორი** – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური თანამდებობის მქონე პირი, რომელიც უძღვება სასწავლო პროცესს და ხელმძღვანელობს ასოცირებული პროფესორების, ასისტენტ-პროფესორებისა და სტუდენტების სამეცნიერო-კვლევით მუშაობას;
7. **ასისტენტ-პროფესორი** – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური თანამდებობა, რომელზეც შეიძლება არჩეულ იქნეს პირი, რომელიც არის დოქტორი ან დოქტორანტი და უძღვება ლაბორატორიულ, სასემინარო ან პრაქტიკულ მეცადინეობებს;
8. **ასოცირებული პროფესორი** – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური თანამდებობა. ამ თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს მხოლოდ დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირი; ასოცირებული პროფესორი მონაწილეობს ძირითად სასწავლო პროცესში და ხელმძღვანელობს ასისტენტ-პროფესორებისა და სტუდენტების სამეცნიერო-კვლევით მუშაობას;
9. **უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება** – სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამას (პროგრამებს). რომლის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს უმაღლესი საგანმანათლებლო საქმიანობის ორგანიზება, სამეცნიერო კვლევების განხორციელება და შემოქმედებითი მუშაობის წარმართვა, რომელიც შედგება ძირითადი საგანმანათლებლო და დამხმარე სტრუქტურული ერთეულებისაგან და ანიჭებს შესაბამის აკადემიურ ხარისხს (ხარისხებს);
10. **საკადემიო საპროცედურო კომისია** – კომისია, რომელიც განიხილავს საკონკურსო პირობების დარღვევებსა და ამტკიცებს საფაკულტეტო საკონკურსო კომისიების მიერ წარმოდგენილ შედეგებს;

2.2. შემოკლებები.

1. **ND** – ნორმატიული დოკუმენტი;
2. **აკადემია** – ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია;



მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. ეს წესი განსაზღვრავს სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის (შემდგომში - აკადემია) ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის თანამდებობაზე არჩევნების ჩატარების წესსა და საარჩევნო პროცედურას.

2. არჩევნების ორგანიზების მიზნით აკადემიაში რექტორის ინდივიდუალურ სამართლებრივი აქტით, აკადემიის წესდების III თავის შესაბამისად, იქმნება აკადემიის (მუდმივმოქმედი თუ დროებითი) საარჩევნო კომისია, რომელიც შემადგენლობაში უნდა შევიდნენ აკადემიის თანამშრომლები და სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენელი.

3. საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში არ შეიძლება შედიოდნენ აკადემიის ადმინისტრაციული პერსონალი და ასარჩევ თანამდებობაზე ასარჩევი კანდიდატები/კანდიდატი.

4. არჩევნები ტარდება სამართლიანობის, გამჭვირვალობის, საჯაროობის და თანასწორობის პრინციპების დაცვით.

მუხლი 2. არჩევნების დანიშვნის წესი

არჩევნების დანიშვნის წესი აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის თანამდებობის დასაკავებლად:

ა) სენატი თავისი გადაწყვეტილებით ნიშნავს აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის თანამდებობაზე არჩევნების ჩატარების თარიღს.

ბ) სენატის გადაწყვეტილება არჩევნების გამოცხადების შესახებ საჯარო გაცნობის მიზნითა და დაინტერესებულ პირთათვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით უნდა განთავსდეს აკადემიის ვებ-გვერდზე.

გ) გადაწყვეტილებაში აღინიშნება კანდიდატების რეგისტრაციის ვადა, კანდიდატების მიერ წარმოსადგენ დოკუმენტთა ნუსხა და აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის არჩევნების ჩატარების თარიღი.

მუხლი 3. კანდიდატთა მიერ წარსადგენი დოკუმენტები და საარჩევნო კრიტერიუმები

1. პრეტენდენტთათვის აუცილებელი შესარჩევი მინიმალური კრიტერიუმები:

ა) უმაღლესი განათლება;

ბ) აკრედიტირებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სრული ან ასოცირებული პროფესორი;

გ) განათლების ხარისხის სფეროში მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება.

ND 2-004-01

სტატუსი: მოქმედი

რევიზია №1

რევიზიის თარიღი 12.09.2012

მოქმედებაშია 12.09.2012

მოქმედად არ მათვალა დოკუმენტის აქრედიტაციის ნაბიჯი ახლი თუ მას არ აქვს რევიზია „დრეფტული ვერსიის“ რევიზია ასევე დაატანეს პრივიტუ პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით, წინააღმდეგ შემთხვევაში ახლი მათვალა როგორც „არაკორექტირებადი“ დოკუმენტი და მასზე ხარისხის სამსახური პასუხისმგებლობას არ იღებს. დოკუმენტის ბილი და კონტროლირებადი ახლი იხილეთ ვებგვერდზე www.office.bsma.edu.ge



2. ასარჩევ თანამდებობაზე მსურველმა კანდიდატმა საარჩევნო კომისიაში უნდა წარადგინოს განცხადება, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 78-ე მუხლის მოთხოვნებს.

3. განცხადებას თან უნდა ერთვოდეს:

ა) უმაღლესი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის (დიპლომის) ასლი;

ბ) ასოცირებული ან სრული პროფესორის აკადემიური თანამდებობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

გ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

დ) ავტობიოგრაფია/CV;

ე) უმაღლეს სასწავლებელში განათლების ხარისხის განვითარების კონცეფცია;

ვ) 2 ც. ფერადი ფოტოსურათი, ზომით 3/4-ზე;

4. აკადემიის სენატის გადაწყვეტილებით შესაძლებელია კანდიდატებს დაევალოთ დამატებითი დოკუმენტების წარდგენა ან დაწესდეს დამატებითი კრიტერიუმები.

მუხლი 4. ასარჩევ კანდიდატთა რეგისტრაცია

1. ასარჩევი კანდიდატის რეგისტრაციას ახორციელებს აკადემიის საარჩევნო კომისია.

2. კანდიდატთა რეგისტრაცია ხდება საარჩევნო კომისიაში საარჩევნო კომისიის მდივნის მიერ, საამისოდ გამოყოფილ სპეციალურ ქურნალში, წინამდებარე დებულებით გათვალისწინებული დოკუმენტების სრულად წარმოდგენის შემდეგ.

მუხლი 5. არჩევნები

1. აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის არჩევნები:

ა) აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი აირჩევა სენატის მიერ ფარული კენჭისყრით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, არაუმეტეს 4 წლის ვადით.

ბ) აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის არჩევნებამდე კანდიდატურის არჩევისას სენატი ავასებს თითოეული კანდიდატის მიერ წარმოდგენილ უმაღლეს სასწავლებელში განათლების ხარისხის განვითარების კონცეფციას.

2. აკადემიის არჩევით ადმინისტრაციულ თანამდებობაზე უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში ცხადდება ახალი არჩევნები წინამდებარე წესის შესაბამისად.

მუხლი 6. წინასაარჩევნო აგიტაცია და კამპანია

1. ასარჩევ კანდიდატებს უფლება აქვთ ჩაატარონ წინასაარჩევნო კამპანია. წინასაარჩევნო კამპანიის წარმართვისას ყველა კანდიდატი სარგებლობს თანასწორი უფლებით.

2. არჩევნების დღეს იკრძალება კამპანიისა და აგიტაციის წარმოება.

ND 2-004-01
სტატუსი: მოქმედი
რევიზია №1
რევიზიის თარიღი 12.09.2012
მოქმედებაშია 12.09.2012

მოქმედად არ მიათვლება დოკუმენტის ანგარიშ ნაბეჭდი ასლი თუ მას არ აქვს რევიზია „დრეზული ვეზებლარი“. რევიზია ასლზე დაატანეს პროცესზე პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით. წინააღმდეგ შემთხვევაში ასლი მიათვლება როგორც „არაკონტროლირებადი“ დოკუმენტი და მასზე ხარისხის სამსახური პასუხისმგებლობას არ იღებს. დოკუმენტის ბოლო და კონტროლირებადი ასლი იხილეთ ვებგვერდზე www.office.bsma.edu.ge



3. წინასაარჩევნო კამპანია და აგიტაცია შესაძლებელია განხორციელდეს სხვადასხვა ღონისძიებების ჩატარებით (კრებები და შეხვედრები ამომრჩევლებთან, საჯარო დებატები და დისკუსიები), ბეჭდური სააგიტაციო მასალების გამოცემა-გავრცელებით, წინასაარჩევნო მოწოდებების, განცხადებების, ფურცლებისა და ფოტომასალის დამზადებისა და გავრცელების გზით, აგრეთვე კანონმდებლობით ნებადართული ნებისმიერი სხვა საშუალებით. აკრძალულია მათი გავრცელებისათვის ხელის შეშლა.

4. წინასაარჩევნო კამპანიამ და აგიტაციამ არ უნდა შეუშალოს ხელი დაწესებულებაში სასწავლო პროცესს. იკრძალება მეცადინეობებზე სტუდენტებთან საარჩევნო კამპანიისა და აგიტაციის ჩატარება, აგრეთვე ნებისმიერი ისეთი ქმედება, რაც შეუფერებელია საარჩევნო კანდიდატის სტატუსთან (პირდაპირი ან არაპირდაპირი გზით მოსყიდვა, ან რაიმე სიკეთის ან პრივილეგიის მინიჭება, ან ასეთის დაპირება და სხვა), ხელყოფს წესრიგს დაწესებულებაში ან ზიანს აყენებს დაწესებულების ქონებას.

5. დაწესებულების ადმინისტრაციულ პერსონალს უფლება არ აქვს დაუსაბუთებელი უარი უთხრას წინასაარჩევნო კამპანიისა და აგიტაციისათვის აუდიტორიებით, დარბაზებითა და დაწესებულების სხვა ქონებით სარგებლობისათვის. ყველა კანდიდატისათვის დაწესებულების ფართით სარგებლობა უნდა იყოს თანაბრად ხელმისაწვდომი.

მუხლი 7. საარჩევნო სიები

1. საარჩევნო სიას ადგენს და საარჩევნო კომისიას გადაცემს დაწესებულების სენატი.
2. სენატის შემადგენლობაში შედის რექტორი, რექტორის მოადგილეები, გარდა პირველი მოადგილისა, აკადემიის ყველა სტრუქტურული ერთეულის და სტუდენტური თვითმმართველობის თითო წარმომადგენელი.

მუხლი 8. საარჩევნო ბიულეტენი

1. საარჩევნო ბიულეტენები იბეჭდება აკადემიის მიერ, რომელზედაც პასუხისმგებელია საარჩევნო კომისია.
2. სენატის წევრის მიერ ხმის მიცემა ხორციელდება საარჩევნო ბიულეტენზე სათანადო აღნიშვნით და საარჩევნო ბიულეტენის საარჩევნო ყუთში მოთავსებით.
3. საარჩევნო ბიულეტენი გაიცემა პირზე პირადობის მოწმობის ან სტუდენტის სტატუსის დამადასტურებელი მოწმობის ან/და აკადემიური მოსწრების წიგნაკის წარმოდგენის შემთხვევაში, ხოლო აკადემიურ პერსონალზე – დაწესებულების ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის მიერ გაცემული სპეციალური საბუთის საფუძველზე.



მუხლი 9. საარჩევნო ყუთი

1. აკადემია არჩევნების ჩასატარებლად უზრუნველყოფს ყუთით საარჩევნო კომისიას.
2. საარჩევნო ყუთზე თვალსაჩინო ფორმით აღინიშნება ხარისხის უზრუნველყოფის ხელმძღვანელის არჩევნები.
3. საარჩევნო ყუთი კენჭისყრამდე მოწმდება, რათა საარჩევნო კომისიის წევრები და დამკვირვებლები დარწმუნდნენ, რომ იგი ცარიელია. კენჭისყრის დაწყებამდე საარჩევნო ყუთი ილუქება კომისიის წევრებისა და დამკვირვებლების თანდასწრებით და პირველი ამომრჩევლის საარჩევნო ბიულეტენთან ერთად მასში მოთავსდება საკონტროლო ფურცელი, რაც არჩევნების შედეგების ნამდვილობის შემოწმების ერთ-ერთი საშუალებაა.
4. საკონტროლო ფურცელი დგება 2 ეგზემპლარად და მათზე აღინიშნება პირველი ამომრჩევლის რეკვიზიტები, კომისიის ყველა წევრის ხელმოწერა. საკონტროლო ფურცლის 1 ეგზემპლარი რჩება საარჩევნო კომისიაში.
5. თუ საარჩევნო ყუთი დაზიანდა არჩევნების პროცესში, საარჩევნო კომისია უფლებამოსილია იმსჯელოს არჩევნების შედეგების ბათილად ცნობის შესახებ, თუ მიიჩნევს, რომ ამან შეიძლება გავლენა იქონიოს არჩევნების შედეგებზე.
6. თუ საარჩევნო ყუთში მისი გახსნის შემდეგ არ აღმოჩნდა საკონტროლო ფურცელი, ან მასში მოთავსებული საკონტროლო ფურცლის მონაცემები არ დაემთხვა საარჩევნო კომისიაში არსებულ საკონტროლო ფურცლის მონაცემებს, არჩევნების შედეგები ცხადდება ბათილად.

მუხლი 10. არჩევნების პროცედურა

1. კენჭისყრის დღეს ამომრჩეველი საარჩევნო კომისიის რეგისტრატორისგან იღებს შესაბამის საარჩევნო ბიულეტენს, რასაც ადასტურებს ამომრჩეველთა სიაში მისი გვარის გასწვრივ ხელმოწერით და მას შემდეგ, რაც წრიულად შემოხაზავს მისთვის სასურველ ერთ კანდიდატურას, აგდებს საარჩევნო ბიულეტენს საარჩევნო ყუთში.
2. ხმის მიცემა შეიძლება მოხდეს ნებისმიერი განცალკევებულ ადგილას, სადაც ხმის მიცემის ფარულობა იქნება დაცული.

მუხლი 11. არჩევნების შედეგების შეჯამება

1. კენჭისყრის დასრულების შემდეგ საარჩევნო კომისიის წევრები ითვლიან საარჩევნო სიებში ხელმოწერების მიხედვით არჩევნებზე გამოცხადებულ ამომრჩეველთა რაოდენობას, რაც ფიქსირდება შესაბამის შემაჯამებელ ოქმში, რომელშიც აისახება არჩევნებში მონაწილე ყველა კანდიდატის მიერ მიღებული ხმების რაოდენობა.
2. არჩევნები ჩატარებულად ითვლება, თუ გამოცხადდა სენატის სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი მაინც.
3. არჩევნებზე გამოცხადებულ ამომრჩეველთა რაოდენობის დათვლის შემდეგ იხსნება საარჩევნო ყუთი და კომისიის წევრები ითვლიან საარჩევნო ბიულეტენებს.

ND 2-004-01

სტატუსი: მოქმედი

რევიზია №1

რევიზიის თარიღი 12.09.2012

მოქმედებაშია 12.09.2012

მოქმედად არ მიათვლება დოკუმენტის არცერთი ნაბეჭდი ასლი თუ მას არ აქვს რევიზია „დრეივული ვერსიის“ რევიზია ასლზე დაატანეს პროცესზე პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით. წინააღმდეგ შემთხვევაში ასლი მიათვლება როგორც „არაკონტროლირებადი“ დოკუმენტი და მასზე ხარისხის საშუალო პასუხისმგებლობას არ იღებს. დოკუმენტის ბოლო და კონტროლირებადი ასლი იხილეთ ვებგვერდზე www.office.bsma.edu.ge



4. საარჩევნო ყუთიდან ამოდებული და წრიულად შემოხაზული საარჩევნო ბიულეტენები ლაგდება ცალ-ცალკე, არჩევნებში მონაწილე კანდიდატურების მიხედვით. ცალკე ლაგდება ბათილი საარჩევნო ბიულეტენები.

5. საარჩევნო ბიულეტენი ბათილია, თუ:

ა) არ აღმოჩნდა საარჩევნო ბიულეტენზე ხელმოწერი კომისიის წევრის ხელმოწერა;

ბ) თუ არ არის შემოხაზული არც ერთი კანდიდატურა;

გ) თუ შემოხაზულია ერთზე მეტი კანდიდატურა;

დ) თუ შეუძლებელია გაირკვეს, რომელ კანდიდატს მისცა ხმა ამომრჩეველმა.

6. ხმების დათვლისთანავე ივსება შემაჯამებელი ოქმი, რომელშიც შეიტანება შემდეგი მონაცემები:

ა) სენატის ამომრჩეველთა რაოდენობა სიების მიხედვით;

ბ) არჩევნებზე გამოცხადებულ ამომრჩეველთა რაოდენობა საარჩევნო სიებში ამომრჩეველთა ხელმოწერების მიხედვით;

გ) საარჩევნო ყუთში აღმოჩენილი საარჩევნო ბიულეტენების საერთო რაოდენობა;

დ) ბათილი საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობა;

ე) კანდიდატის მიერ მოპოვებული ხმების რაოდენობა;

ვ) კომისიის ყველა წევრის ხელმოწერა.

7. არჩეულად ითვლება საუკეთესო შედეგების მქონე კანდიდატი.

მუხლი 12. დამკვირვებელი

1. აკადემიაში არჩევნების პროცესზე დაკვირვების მიზნით ფიზიკური პირები უფლებამოსილნი არიან არჩევნების დღემდე არა უგვიანეს 1 დღით ადრე მიმართონ დაწესებულების საარჩევნო კომისიას დამკვირვებლის სტატუსის მოსაპოვებლად.

2. პირი არ დაიშვება დამკვირვებლად, თუ იგი არის:

ა) აკადემიის არჩევით ადმინისტრაციულ თანამდებობაზე ასარჩევი კანდიდატი;

ბ) ადმინისტრაციული პერსონალის წევრი;

4. დამკვირვებელი უფლებამოსილია დაესწროს საარჩევნო კომისიების მუშაობას არჩევნების დღეს და საჩივრების განხილვის პროცესში.

5. დამკვირვებელი უფლებამოსილია:

ა) დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში მიუთითოს კომისიის თავმჯდომარეს და მოითხოვოს დარღვევის აღკვეთა;

6. დამკვირვებელი ვალდებულია ხელი არ შეუშალოს არჩევნების ჩატარებას.

7. საარჩევნო კომისია ვალდებულია ხელი არ შეუშალოს დამკვირვებელს.

ND 2-004-01

სტატუსი: მოქმედი

რევიზია №1

რევიზიის თარიღი 12.09.2012

მოქმედებაშია 12.09.2012

მოქმედებს არ მათთვის დოკუმენტის ავტომატური განახლება ანუ თუ მას არ აქვს რევიზია „დრეფტი“ ვერსიის. რევიზია ასევე დაატანს პროცეს პასუხისმგებელი პირის მითითებით. წინააღმდეგ შემთხვევაში ახალი მათთვის როგორც „არაკონტროლირებადი“ დოკუმენტი და მასზე ხარისხის საშუალო პასუხისმგებლობას არ იღებს. დოკუმენტის ბოლო და კონტროლირებადი ახალი იხილოთ ვებგვერდზე www.office.bsma.edu.ge



მუხლი 12. დარღვევის ოქმი

არჩევნების დღეს ამ წესით დადგენილი წესის დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში კანდიდატი, დამკვირვებელი, საარჩევნო კომისიის წევრი ან შესაბამისი ორგანოს ამომრჩეველი უფლებამოსილია შეადგინოს დარღვევის ოქმი, რომელშიც მიეთითება:

- ა) ოქმის შემდგენი პირის სახელი, გვარი, მისამართი.
- ბ) ოქმის შემდგენი პირის სტატუსი (კანდიდატი, ამომრჩეველი, დამკვირვებელი, საარჩევნო კომისიის წევრი);
- გ) დარღვევის შინაარსი;
- დ) დარღვევის დაფიქსირების დრო;
- ე) საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის ხელმოწერა, ან აღნიშვნა მის მიერ ხელმოწერაზე უარის შესახებ;
- ვ) მოწმეების ვინაობა (იმ შემთხვევაში, თუ არსებობენ მოწმეები, რომლებიც დაადასტურებენ ამ ფაქტობრივ გარემოებას) და მათი ხელმოწერები;
- ზ) ოქმის შემდგენი პირის მოთხოვნა;
- თ) ოქმის შემდგენი პირის ხელმოწერა.

მუხლი 13. არჩევნების შედეგების გამოცხადება

არჩევნების შედეგები ცხადდება არჩევნების დღეს. საარჩევნო კომისია ვალდებულია ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილას გამოაკრას არჩევნების შედეგების აქტი.

მუხლი 14. არჩევნების შედეგების გასაჩივრება

1. არჩევნების შედეგების გამოცხადებიდან 24 საათის განმავლობაში კანდიდატს, დამკვირვებელს ან შესაბამისი ორგანოს ამომრჩეველს უფლება აქვს შეიტანოს საჩივარი ამ წესით განსაზღვრული წესების დარღვევასთან დაკავშირებით აკადემიის საარჩევნო კომისიაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ საჩივრები არ მიიღება.

2. საჩივარი უნდა შეიცავდეს შემდეგ რეკვიზიტებს:

- ა) საჩივრის შემტანი პირის სახელი, გვარი, მისამართი.
- ბ) საჩივრის შემტანი პირის სტატუსი (კანდიდატი, ამომრჩეველი, დამკვირვებელი, ფაკულტეტის საარჩევნო კომისიის წევრი);
- გ) დარღვევის შინაარსი;
- დ) მოწმეების ვინაობა (იმ შემთხვევაში, თუ არსებობენ მოწმეები, რომლებიც დაადასტურებენ ამ ფაქტობრივ გარემოებას);
- ე) საჩივრის შემომტანი პირის მოთხოვნა;
- ვ) საჩივრის შემომტანი პირის ხელმოწერა.

3. საჩივარს თან ერთვის დარღვევის ოქმის ასლი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.



4. საარჩევნო მომისია ვალდებულია საჩივრის შეტანიდან 3 დღის განმავლობაში განიხილოს საჩივრები და მიიღოს სათანადო გადაწყვეტილება.

მუხლი 15. საბოლოო შედეგების გამოქვეყნება

1. აკადემიის საარჩევნო კომისია არჩევნების საბოლოო შედეგებს აქვეყნებს ოფიციალურად, აკადემიის ვებ-გვერდზე განთავსების გზით.
2. არჩევნების საბოლოო შედეგები ძალაში შედის გამოქვეყნებისთანავე.

16.გავრცელების არე

1. დოკუმენტის ორიგინალი და საკონტროლო ეგზემპლარები ინახება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში;
2. დოკუმენტის აღრიცხული ეგზემპლარის დაგზავნას აწარმოებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური;
3. დოკუმენტის ელექტრონული ვერსია განთავსებულია www.office.bsma.edu.ge

ND 2-O04-01
სტატუსი: მოქმედი
რევიზია №1
რევიზიის თარიღი 12.09.2012
მოქმედებაშია 12.09.2012

მოქმედად არ მიათვლება დოკუმენტის არეობის ნაბეჭდი ასლი თუ მას არ აქვს რევიზიის „აღრიცხული ეგზემპლარი“. რევიზიის ასლზე დაატანეს პროცესზე პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით, წინააღმდეგ შემთხვევაში ასლი მიათვლება როგორც „არაკონტროლირებადი“ დოკუმენტი და მასზე ხარისხის სამსახური პასუხისმგებლობას არ იღებს. დოკუმენტის ბოლო და კონტროლირებადი ასლი იხილეთ ვებგვერდზე www.office.bsma.edu.ge